გამარტივებული შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება #15

დ.მესტია 23.06.2023

EMBE

ერთის მხრივ, ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა (მისამართი: მესტია, სეტის მოედანი #1, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“, ხაზინის ერთიანი ანგარიში: 30004100000, საიდენტიფიკაციო კოდი: 435896176) (შემდგომში „შემსყიდველი“) დირექტორი ირაკლი მიქიანის სახით,

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "სანნა" (მისამართი: თბილისი, წერეთლის #126, საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი'', ანგ.№ GE32BG0000000681423100, საიდენტიფიკაციო კოდი: 404508154) მისი დირექტორის მინდობილი პირის ნინო პაპასქირის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“),
“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს 1 ” ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე. CPV: 39130000 - საოფისე ავეჯი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმათთველობის მიერ საოფისე ავეჯის შესყიდვა.

2. საქონლის/მომსახურების ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1818.80 (ათას რვაას თვრამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან და „შემსყიდველისათვის“ საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

3. ანგარიშსწორება

3.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება 10 სამუშაო დღის ვადაში, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
3.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

3.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 30 ივლისამდე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. მხარეთა მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი და ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება.

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას.

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით შესასრულებელ ვალდებულებას,მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. დამატებითი ვადის

განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება,რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმოშობილ საკითხებთან მიმართებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით.

8 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწიბნებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ აგებენ პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორული გარემოებები) და რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეებზე.კერძოდ, სტიქიური უბედურებები, ავარიები, ხანძრები, მასობრივი არეულობები, რევოლუციები, სამხედრო მოქმედებები, კარანტინის გამოცხადება ან სხვა სახის უბედურებები,თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მხარეთა მხრიდან ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3.მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება შესაძლებლობისთანავე აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს ურთიერთშეთანხმებას, დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისსწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2 ხელშეკრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებს ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი" დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი, დამოწმებული/დადასტურებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, წარმოადგენს ორიგინალს.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ფორმდება წერილობით, დამატებითი შეთანხმების სახით.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და დანართი მის განუყოფელ ნაწილად ითვლება.

14. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი“**
ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის	შპს ”სანნა”
ახალგაზრდული თვითმმართველობა	
დირექტორი:	**დირექტორის მინდობილი პირი:**
/ ირაკლი მიქიანი /	/ ნინო პაპასქირი/

Irakli Mikiani 62002005995

Digitally signed by Irakli Mikiani
Date: 2023.06.23 17:26:32